საქართველოს გენერალური პროკურატურა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის 2024 წლის ანგარიში

შინაარსი

შესავალი 2

პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის განვითარება 2024 წელს 2

2024 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობა 6

ინფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ 16

შესავალი

მსხვერპლთა დაცვის გაძლიერება და დაზარალებულზე ორიენტირებული სისხლის სამართლის პოლიტიკის წარმოება საქართველოს პროკურატურის სტრატეგიულ ამოცანას წარმოადგენს.[1]

სისხლის სამართლის პროცესში დაზარალებული მნიშვნელოვანი სუბიექტია და მისი საპროცესო უფლებების სრულყოფილ რეალიზებაში დიდია პროკურატურის წვლილი. გარდა საპროცესო უფლებების რეალიზებისა, მნიშვნელოვანია, რომ სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მოხდეს დაზარალებულის მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და იმ ზიანის მინიმუმამდე დაყვანა, რომელიც შესაძლოა დაზარალებულს მიადგეს სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის შედეგად. კოორდინატორის სამსახურის მიზანია მოწმისა და დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივება, დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპზე მოწმისა და დაზარალებულის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა. აღნიშნული ამოცანების შესრულებას ემსახურება მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური, რომელიც საქართველოს პროკურატურის სისტემაში 2011 წლიდან ფუნქციონირებს.

პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის განვითარება 2024 წელს

მოწყვლად დაზარალებულთა/მოწმეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ განსაზღვრავს იმ დანაშაულთა წრეს, რომელშიც მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა სავალდებულოა, თუმცა, მათი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ისინი ჩაერთონ ისეთ მსხვერპლებთან (დაზარალებულის სტატუსის მქონე პირი, ასევე, მოწმის სტატუსის მქონე პოტენციური დაზარალებული), რომლებიც მათი მოწყვლადობიდან და განხორციელებული დანაშაულის ხასიათიდან გამომდინარე, უფლებების ეფექტიანი დაცვის, სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამარტივების, დაცვისა და დახმარების სერვისებზე ხელმისაწვდომობის, ემოციური მხარდაჭერისა და გაძლიერების მიზნით, განსაკუთრებულ მხარდაჭერას საჭიროებენ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კოორდინატორის სამსახურის კიდევ უფრო ეფექტიანი ფუნქციონირების მიზნით, „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“ საქართველოს გენერალურის

[1] საქართველოს პროკურატურის სტრატეგია (2022-2027 წლები)

პროკურორის 2024 წლის 16 სექტემბრის № 217გ ბრძანებით განისაზღვრა იმ დანაშაულთა წრე და მოწყვლად პირთა კატეგორია, რა შემთხვევებშიც, პროკურორის მიერ, სავალდებულო წესით ან პრიორიტეტულად უნდა მოხდეს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა. კერძოდ, პროკურორმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა სავალდებულო წესით უნდა უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მსხვერპლის სისხლის სამართლის საქმეში. ასევე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულების (როგორც დასრულებული, აგრეთვე, მცდელობის შემთხვევაში) მსხვერპლთა სისხლის სამართლის საქმეებში: 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში), თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის ან არასრულწლოვნის მიმართ; 115-ე მუხლი (თვითმკვლელობამდე მიყვანა), თუ გარემოებებით იკვეთება შესაძლო თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ნიშნები და ქმედება განხორციელდა გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის ან არასრულწლოვნის მიმართ; 137-ე მუხლი (გაუპატიურება); 138-ე მუხლი (სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება; 139-ე მუხლი (პირის სხეულში სექსუალური ხასიათის შეღწევის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედების იძულება); 140-ე მუხლი (სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში); 141-ე მუხლი (გარყვნილი ქმედება); 143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით, ოჯახის წევრის ან არასრულწლოვნის მიმართ; 143^1 მუხლი (ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)); 143^2 მუხლი (არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)); 143^3 მუხლი (ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა); 144^1 მუხლი (წამება); 144^2 მუხლი (წამების მუქარა); 144^3 მუხლი (დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა); 150^1 მუხლი (ქორწინების იძულება), თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის მიმართ.

პროკურორმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა პრიორიტეტულად უნდა უზრუნველყოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული შემდეგი დანაშაულების (როგორც დასრულებული, აგრეთვე, მცდელობის შემთხვევაში) მსხვერპლთა სისხლის სამართლის საქმეებში: 108-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა); 109-ე მუხლი (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში); 117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), თუ დანაშაული ჩადენილია არასრულწლოვნის ან ქალის მიმართ; 133-ე მუხლი (უკანონო აბორტი); 133^1 მუხლი (სტერილიზაცია თანხმობის გარეშე); 133^2 მუხლი (ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრება); 143-ე მუხლი (თავისუფლების უკანონო აღკვეთა), თუ დანაშაული ჩადენილია ქალის მიმართ; 150^1 მუხლი (ქორწინების იძულება) 151^1 მუხლი (ადევნება); 157-ე მუხლი (პირადი ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის ან პერსონალური მონაცემების ხელყოფა), თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ან არასრულწლოვნის მიმართ; 157^1 მუხლი (პირადი

ცხოვრების საიდუმლოს ხელყოფა), თუ დანაშაული ჩადენილია გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ან არასრულწლოვნის მიმართ.

პროკურორმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ჩართვა, ასევე, პრიორიტეტულად უნდა უზრუნველყოს მოწყვლად კატეგორიას მიკუთვნებულ მსხვერპლთა სისხლის სამართლის საქმეებში (როგორც დასრულებული დანაშაულის, აგრეთვე, დანაშაულის მცდელობის შემთხვევაში): ოჯახში ძალადობა, ოჯახური დანაშაული და დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაული; ძალადობრივი დანაშაული, თუ დანაშაულის მსხვერპლი არასრულწლოვანია. ასევე, საქმეებში, სადაც იკვეთება, რომ მსხვერპლს დანაშაულის შედეგად მიადგა არსებითი ხასიათის ფიზიკური ან/და მორალური ზიანი ან/და დანაშაულისგან გამოწვეული სტრესის გამო დაზარალებულთან/მოწმესთან კომუნიკაცია გართულებულია და საჭიროებს (მხარდაჭერას).

2024 წელს, სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში განხორციელდა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის ფუნქციონალთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც ხელს უწყობს კოორდინატორის სამსახურის ეფექტიან საქმიანობას. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვა ხორციელდება პროკურორის დადგენილების საფუძველზე. აღნიშნულის შემდეგ, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს ეძლევა შესაძლებლობა ელექტრონულ პროგრამაში შექმნას მოწმესთან/დაზარალებულთან გასაუბრების ოქმი და გაარკვიოს მისი პოზიცია სისხლის სამართლის საქმეში კოორდინატორის ჩართვისა და კოორდინატორის მიერ საქმის მასალების გაცნობის თაობაზე. მოწმის/დაზარალებულის მიერ თანხმობის გაცხადების შემდეგ, კოორდინატორი უფლებამოსილია, გაეცნოს უშუალოდ ამ პირთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმის მასალებს.

სასწავლო აქტივობები მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა პროფესიული განვითარებისთვის

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით, საქართველოს პროკურატურა მუდმივად ზრუნავს კოორდინატორების პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერებაზე. 2024 წელს კოორდინატორებმა პროფესიული სწავლება გაიარეს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის:

- ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ინტერსექციული, მულტიდისციპლინური და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა“. ტრენინგზე განხილული იქნა მოწმეებისა და მსხვერპლთა სავალდებულო დაცვის ეფექტურობის გაუმჯობესების გზები; ინტერდისციპლინარული და ინტერსექტორული მიდგომა ტრეფიკინგის

პოტენციურ მსხვერპლთა მიმართ და გენდერულ ნიშანზე დაფუძნებული მიდგომა ტრავმირებულ მსხვერპლებთან ურთიერთობისას.

- ჩატარდა ტრენინგი თემაზე „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) დანაშაულის გამოვლენის/გამოძიების პროცესში მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა“. ტრენინგის ფარგლებში კოორდინატორებმა გაიღრმავეს ცოდნა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა: სახელმწიფო პოლიტიკა და კანონმდებლობა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საფუძვლები; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თანამედროვე ტენდენციები; მსხვერპლთა მოწყვლადობის საკითხები; მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომები.
- ჩატარდა მულტიუწყებრივი ტრენინგი თემაზე „ტრავმაინფორმირებული, მულტიდისციპლინური რეაგირება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევებზე“. მონაწილეები გადამზადდნენ შემდეგ საკითხებზე: ტრეფიკიორის მიერ მსხვერპლის იდენტიფიცირების და ექსპლუატაციის ტაქტიკები; ტრავმისა და ტრავმაინფორმირებული პრაქტიკის განსაზღვრა; ტრავმაზე რეაგირების მექანიზმები; ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) საქმეებში მულტიუწყებრივი თანამშრომლობა; პალერმოს პროტოკოლის ნაწილში საქართველოს პრაქტიკა; ტრავმა-ინფორმირებული ინტერვიურების მეთოდები და სხვა.

გაიმართა სამუშაო შეხვედრა დაზარალებულთან კომუნიკაციის საკითხებზე, რომლის ფარგლებშიც ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მრჩეველმა სამართლის საკითხებში, მონაწილეებს გაუზიარა ამერიკული გამოცდილება და მიაწოდა ინფორმაცია მსხვერპლთან ურთიერთობის სპეციფიკის შესახებ.

კოორდინატორის მონაწილეობით ამერიკის შეერთებულ შტატებში ოჯახში ძალადობის თემაზე განხორციელდა მულტიდისციპლინური ჯგუფის სასწავლო ვიზიტი, რომლის ფარგლებშიც კოორდინატორმა გაიღრმავა ცოდნა ოჯახში ძალადობის, გენდერული ნიშნით მოტივირებული ძალადობის, ქალთა მიმართ ძალადობის, მსხვერპლზე ორიენტირებული მიდგომების, ოჯახური ძალადობის საქმეებში მულტიუწყებრივი მიდგომის მნიშვნელობის, სასამართლო პრაქტიკის და სხვა საკითხებზე.

კოორდინატორის მონაწილეობით განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც, არასრულწლოვანთა და საოჯახო სასამართლოების მოსამართლეთა ეროვნული საბჭოს 87-ე ყოველწლიური კონფერენციის ფარგლებში განხილული იქნა ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის სერვისები; კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ არსებული სერვისები; არასრულწლოვანთა და ოჯახური დანაშაულების თავისებურებები; რეფერირების წესი და არსებული გამოწვევები.

2024 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა სწავლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, საერთო ჯამში, ჩატარდა 7 სასწავლო აქტივობა, გადამზადდა 16 კოორდინატორი.

2024 წელს პროკურატურის მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობა

ბოლო წლების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად 5000-ს აღემატება იმ პირთა რაოდენობა, ვინც ისარგებლა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით. 2024 წელს, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 5161 პირს.

პირთა რაოდენობა წლების მიხედვით



5161 მოქალაქეს შორის, ვინც ისარგებლა კოორდინატორის სამსახურით, 2679 იყო სრულწლოვანი დაზარალებული, 167 - არასრულწლოვანი დაზარალებული, 1175 - სრულწლოვანი მოწმე, 84 -არასრულწლოვანი მოწმე, 576 - განმცხადებელი, 480 - სხვა პირი.

მოქალაქეთა სტატუსი



5161 მოქალაქეს შორის, რომლებსაც კოორდინატორების მიერ გაეწიათ მხარდაჭერა, 3675 (71%) იყო ქალი, ხოლო 1486 (29%) კაცი.





2024 წელს კოორდინატორებსა და მოქალაქეებს შორის კომუნიკაცია 2870 (23%) შემთხვევაში განხორციელდა პირისპირ, ხოლო 9481 (77%) შემთხვევაში შედგა სატელეფონო კომუნიკაცია.



2024 წელს კომუნიკაციის ინიციატორები უმეტეს შემთხვევაში იყვნენ კოორდინატორები. კერძოდ, 7942 (64%) შემთხვევაში კომუნიკაცია შედგა კოორდინატორის ინიციატივით, ხოლო, 4409 (36%) შემთხვევაში კომუნიკაციის ინიციატორი იყო მოქალაქე.



2024 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს[2]:



2024 წელს, ისევე, როგორც გასულ წლებში, მაღალია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, 2024 წელს კოორდინატორები ჩართული იყვნენ 11[1] პრეფიქსით და 126[1] მუხლით დაკვალიფიცირებულ 1721 სისხლის სამართლის საქმეში.



[2] მონაცემები წარმოდგენილია დანაშაულების მიხედვით. შესაბამისად, მათი რაოდენობა შესაძლოა არ ემთხვეოდეს სისხლის სამართლის საქმეთა და პირთა რაოდენობას.

2024 წელს, კოორდინატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის 2227 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის, 1968 იყო ქალი, ხოლო, 309 - კაცი.

მდედრობითი		1968
დაზარალებული	სრულწლოვანი	**1563**
	არასრულწლოვანი	**66**
მოწმე	სრულწლოვანი	**315**
	არასრულწლოვანი	**24**
მამრობითი		**309**
დაზარალებული	სრულწლოვანი	**151**
	არასრულწლოვანი	**31**
მოწმე	სრულწლოვანი	**111**
	არასრულწლოვანი	**16**

2024 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართული იყვნენ ქალთა მიმართ ძალადობის 1714 სისხლის სამართლის საქმეში, სადაც დაზარალებული იყო სრულწლოვანი ქალი. აღნიშნულ საქმეთა ფარგლებში, მხარდაჭერა გაეწია 1916 დაზარალებულ ქალს.[3]

ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში კოორდინატორების ჩართულობა	
რეგიონი[4]	**საქმე**
თბილისი	622
დასავლეთ საქართველო	403
აჭარა	271
შიდა ქართლი	103
სამცხე-ჯავახეთი	143
კახეთი	104
სამეგრელო-ზემო სვანეთი	68
სულ საქმეთა რაოდენობა	**1714**

[3] ქალთა მიმართ ძალადობის საქმეები დათვლილია სსკ-ის შემდეგი მუხლების მიხედვით: 11[1] მუხლით დაკვალიფიცირებული ყველა საქმე, ასევე, 108-ე, 109-ე, 111-ე, 115-ე, 117-ე, 118-ე, 120-ე, 126-ე, 126[1], 133-ე, 133[1], 133[2], 137-141-ე, 143-ე, 143[1], 143[2], 144[1], 144[3], 150-ე, 150[1], 151-ე, 151[1] მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების საქმეები.

[4] რეგიონების ჩამონათვალში არ არის ქვემო ქართლი, რადგან საანგარიშო პერიოდში კორდინატორის პოზიცია იყო ვაკანტური.

ქალთა მკვლელობის მცდელობისა და თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანის ფაქტებზე გამოძიებადაწყებული სისხლის სამართლის საქმეებიდან, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩაერთვნენ 22 სისხლის სამართლის საქმეში, ამათგან, სსკ-ის 19-109-ე (მათ შორის 11[1]) მუხლით წარმოებულ 12 საქმეში, სსკ-ის 19-108-ე მუხლით წარმოებულ 3 საქმეში, სსკ-ის 115-ე მუხლით (მათ შორის 11[1]) წარმოებულ 7 საქმეში.

გასულ წლებთან შედარებით, 2024 წელს გაზრდილია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა საქმეებში.

სქესობრივი დანაშაულების საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი



სისხლის სამართლის კოდექსი 137-141-ე მუხლებით დაკვალიფიცირებულ 174 საქმის ფარგლებში, კოორდინატორებმა მხარდაჭერა გაუწიეს 312 დაზარალებულს/მოწმეს. მათ შორის:

მდედრობითი		**260**
დაზარალებული	სრულწლოვანი	81
	არასრულწლოვანი	46
მოწმე	სრულწლოვანი	115
	არასრულწლოვანი	18
მამრობითი		**52**
დაზარალებული	სრულწლოვანი	4
	არასრულწლოვანი	8
მოწმე	სრულწლოვანი	38
	არასრულწლოვანი	2

2024 წელს, კვლავ მაღალია დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის საქმეებში მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების ჩართულობა. კერძოდ, კოორდინატორები ჩართული იყვნენ შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის 521 სისხლის სამართლის საქმეში, რომელთა ფარგლებშიც მხარდაჭერა გაუწიეს 577 დაზარალებულს. მათგან 550 იყო ქალი, ხოლო 27-კაცი.

დისკრიმინაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულების საქმეები, სადაც ჩართული იყო კოორდინატორი





577 დაზარალებულიდან, 558 პირის მიმართ დანაშაული ჩადენილი იყო გენდერის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით.

დისკრიმინაციული ნიშანი	
გენდერი	558
შეზღუდული შესაძლებლობა	6
გენდერული იდენტობა	5
სექსუალური ორიენტაცია	3
ასაკი	2
სქესი	2
ეროვნული კუთვნილება	1

2024 წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა კოორდინატორების ჩართულობა ისეთ საქმეებში, სადაც პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია. აღნიშნულ პროცესს ხელი შეუწყო „მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სისხლის სამართლის საქმეში ჩართვის შესახებ“ საქართველოს გენერალურის პროკურორის 2024 წლის 16 სექტემბრის №217გ ბრძანების დამტკიცებამ, რომლითაც განისაზღვრა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სავალდებულო ჩართვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) მსხვერპლის სისხლის სამართლის საქმეში.

2024 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორები ჩართული იყვნენ 81 სისხლის სამართლის საქმეში, სადაც მოწმე ან/და დაზარალებული იყო შშმ პირი. კოორდნატორების მიერ მხარდაჭერა გაეწია 93 შშმ პირს. მათგან 82 იყო სისხლის სამართლის პროცესის მონაწილე დაზარალებული/მოწმე, ხოლო 11 - განმცხადებელი. 93 პირიდან 51 იყო ქალი, 42 - კაცი.

შშმ პირთა რაოდენობა, რომლებსაც მხარდაჭერა გაეწიათ კოორდინატორების მიერ



მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი 2024 წელს ჩართული იყო ტრეფიკინგის 5 საქმეში, რომელთა ფარგლებში მხარდაჭერა გაეწია 9 დაზარალებულს, მათ შორის, 7 არასრულწლოვანს. ტრეფიკინგის დანაშაულის მოწმის/დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორი დაესწრო მოწმის/დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებებს, მათ შორის: გამოკითხვას და საგამოძიებო ექსპერიმენტს. ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, კოორდინატორი შეხვდა და გაესაუბრა დაზარალებულებს და მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრო სასამართლო პროცესს. დაზარალებულთა საჭიროებების უზრუნველყოფის მიზნით, კოორდინატორმა ტრეფიკინგის დანაშაულის დაზარალებულებს მიაწოდა ინფორმაცია არსებული სერვისების შესახებ და დაეხმარა სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს სერვისების მიღებაში.

2024 წელს კოორდინატორების მიერ სულ განხორციელდა 20134 აქტივობა.

კოორდინატორების მიერ განხორციელებული ქმედებები



2024 წელს კოორდინატორები დაესწრნენ დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ 229 საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებას.

საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებებზე კოორდინატორის დასწრება	
გამოკითხვა/დაკითხვა	145
სასამართლო (სამედიცინო, ფსიქიატრიული და სხვა) ექსპერტიზა	71
ჩხრეკა/ამოღება	7
საგამოძიებო ექსპერიმენტი	6
სულ	**229**

მოწმისა და დაზარალებულისთვის მისი უფლებებისა და მოვალეობების, ასევე, სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, საანგარიშო პერიოდში კოორდინატორები შეხვდნენ 1020 დაზარალებულს/მოწმეს და მათი ემოციური მდგომარეობის გათვალისწინებით, დაესწრნენ 355 სასამართლო პროცესს.

2024 წელს მოქალაქეთა (მათ შორის, მოწმე/დაზარალებული) მხრიდან სულ დაფიქსირდა 4304 მოთხოვნა/შეკითხვა. ყველაზე ხშირად მოთხოვნილი იყო გამოძიებასთან ან პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროკურორთან შეხვედრა, შემოტანილ განცხადებაზე რეაგირება/რეაგირების შესახებ ინფორმაცია.

მოქალაქეთა მხრიდან ყველაზე ხშირად დასმული საკითხები



ინფორმაცია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის გამოყენების შესახებ

კანონის მიზნიდან და კოორდინატორთა რესურსიდან გამომდინარე, პროკურორები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობას ძირითადად სთავაზობენ იმ დაზარალებულს, რომლიც არის განსაკუთრებულად მოწყვლადი ან/და არსებობს მოლოდინი ან ინფორმაცია, რომ შესაძლოა ისარგებლოს ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის უფლებით.

კოორდინატორთან კონსულტაციის შეთავაზების მიზანია - დაზარალებულმა სრულყოფილად გაიაზროს მისი უფლება-მოვალეობები და როლი სამართალწარმოების პროცესში, საქმის განხილვის ეტაპზე ჩვენების მიცემის მნიშვნელობა, მართლმსაჯულების განხორციელების მიზანი, ძალადობის განმეორების მოსალოდნელი საფრთხე და შედეგები. აგრეთვე, დაზარალებულთან კომუნიკაცია მიზნად ისახავს პროკურორი/კოორდინატორი დარწმუნდეს, რომ დაზარალებულის მიმართ არ ხორციელდება უკანონო ზემოქმედება, დადგინდეს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის შესაძლო განმაპირობებელი სუბიექტური ან ობიექტური მიზეზი - მუქარა, იძულება, თხოვნა, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, საცხოვრებლის საჭიროება და სხვა, რათა შეფასდეს დაზარალებულის მიმართ ფსიქოლოგიური, მორალური, ფიზიკური, მატერიალური მხარდაჭერის საჭიროება და მიღებული იქნეს შესაბამისი ზომები.

2024 წელს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის შეთავაზება განხორციელდა 21 სტრუქტურულ ერთეულში, 309 დაზარალებულთან. მათ შორის, კოორდინატორის რესურსი გამოიყენეს იმ სტრუქტურულმა ერთეულებმაც, სადაც არ ჰყავთ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი, რაც წარმოადგენს კარგ პრაქტიკას.

309 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორმა შესთავაზა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობა, 203 (66%) იყო ბრალდებულის მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული), 54 (17%) - მშობელი, 25 (8%) - შვილი, 21 (7%) - და/ძმა, 6 (2%) - პაპა/ბებია.

ბრალდებულისა და დაზარალებულის ნათესაური კავშირი



309 დაზარალებულიდან, რომლებსაც პროკურორებმა შესთავაზეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული მოსაფიქრებელი ვადა და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაცია, 122-მა პირმა (39%) შეთავაზებაზე განაცხადა უარი, ხოლო 187-მა (61%) გამოთქვა სურვილი ესარგებლა სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადით და მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციით.

დაზარალებულის პასუხი შეთავაზებაზე



187 დაზარალებულიდან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შეთავაზებაზე, კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ, სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ ჩვენება მისცა 55-მა დაზარალებულმა (29%), კოორდინატორის მიერ გაწეული მუშაობის მიუხედავად, ჩვენება არ მისცა 97-მა (52%), 15 (8%) მათგანის შემთხვევაში აღარ გახდა საჭირო ჩვენების მიცემა, რადგან დაცვის მხარემ უდავოდ ცნო მტკიცებულებები, ხოლო, 20 (11%)

დაზარალებულის შემთხვევაში, ანგარიშის დამუშავების დროისათვის არ იყო გამართული სასამართლო სხდომა.



55 დაზარალებულის საქმეზე (რომლებმაც კოორდინატორთან კონსულტაციის გავლისა და მოსაფიქრებელი ვადის შემდეგ სასამართლო პროცესზე ბრალდებულის წინააღმდეგ მისცეს ჩვენება) ანგარიშის დამუშავების დროისათვის, 42 შემთხვევაში დასრულებული იყო სასამართლო განხილვა. აქედან, 32 შემთხვევაში დადგა გამამტყუნებელი, ხოლო 6 შემთხვევაში გამამართლებელი განაჩენი.



საქართველოს პროკურატურა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთა რესურსის გამოყენებით, მათი მაქსიმალური ჩართულობით, მომავალში კიდევ უფრო აქტიურად შეეცდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებული შესაძლებლობის გამოყენებას, რათა ოჯახური დანაშაულის დაზარალებულთა მხრიდან ჩვენების მიცემაზე უარის თქმამდე მოხდეს მათი დეტალური ინფორმირება მოსალოდნელი შედეგების, ხელახალი ვიქტიმიზაციის არსებული საფრთხეების თაობაზე და ასევე, მაქსიმალურად გამოირიცხოს

არაინფორმირებული ან დაზარალებულზე შესაძლო უკანონო ზემოქმედების მიზეზით, დაზარალებულის მიერ მისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღება.

საქართველოს პროკურატურა კვლავაც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას კოორდინატორის სამსახურის გაძლიერების და დაზარალებულთა ინტერესებზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელების მიმართულებით.